

თავი - 8

ცორებათ ული დანახარჯთა აღრიცხვის სისტემა

მიზანი

- ❖ დანახარჯთა ნორმატული ტიპები;
- ❖ ნორმატული დანახარჯების ცხრილი;
- ❖ ნორმატულ დანახარჯთა სისტემის გამოყენების სხვადასხვა ვარიანტები;
- ❖ დანახარჯების უფრო რაციონალური შეფასება;
- ❖ აღრიცხვის დანახარჯების ეკონომია.

8 . 1 . ნორმატულ დანახარჯთა სისტემა

ნორმატულ დანახარჯთა სისტემა, წარმოადგენს დანახარჯთა ისეთ შეფასებას, რომელიც უნდა იყოს გაწეული მომავალში ნორმის შესაბამისად, ამდენად ის არ წარმოადგენს ფაქტიურ ხარჯს.

ნორმატულ დანახარჯთა სისტემა – ეს არის საწარმოო ხარჯების შეფასების სისტემა პროდუქციის წარმოების პროცესში, რომელიც ეყრდნობა ნორმატულ დანახარჯებს, თუმცა ამას ემატება ფაქტიური დანახარჯების აღრიცხვაც.

ნორმატული დანახარჯი არის პროდუქტის ან მომსახურების ერთეულისათვის დაგევმილი ხარჯი.

ბიუჯეტის შესადგენად გვჭირდება იმის ცოდანა, რა დაჯდება პროდუქტის ან მომსახურების თითოეული ერთეული:

- ✓ ნორმატული დანახარჯები წარმოადგენს დანახარჯების “საკონტროლო” მაჩვენებელს და ამდენად სასარგებლოა დაგეგმვის, კონტროლისა და მოტივაციის განსახორციელებლად;
- ✓ რამდენადაც ბიუჯეტები ნორმატული დანახარჯების საფუძველზე მზადდება, ნორმატიულ დანახარჯებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება გადახრების გამოთვლასა და ანალიზშიც;
- ✓ გადახრების ანალიზი ხელმძღვანელობისათვის გარკვეული მარეგულირებელი მექანიზმის როლს თამაშობს, ვინაიდან გვიჩვენებს, რამდენად კარგად ან ცუდად მუშაობს კომპანია;
- ✓ ნორმატული დანახარჯები ასევე აადვილებს აღრიცხვის მეთოდს, რადგან გამარტივებული ჩანაწერების წარმოების საშუალებას იძლევა.

8 . 2 . დანახარჯთა ნორმატივების ტიპები.

არსებობს დანახარჯების ოთხი ტიპის ნორმატივი:

- ✓ ძირითადი ნორმატივი;
- ✓ იდეალური ნორმატივი;
- ✓ მიღწევადი ნორმატივი;
- ✓ მიმდინარე ნორმატივი.

ძირითადი ნორმატივები გრძელვადიანი ნორმატივებია, რომლებიც წლების მანძილზე უცვლელი რჩება. მისი გამოყენების ერთადერთი მიზანია გვიჩვენოს მასალების ფასების, შრომის ანაზღაურების განაკვეთების და შრომის ნაყოფიერების მაჩვენებლების ცვლილებების ტენდენციები. ეს ნორმატივები ამავე დროს გვიჩვენებს წლების მანძილზე სხვადასხვა მეთოდის გამოყენების შედეგებს. ძირითადი ნორმატივები იშვიათად გამოიყენება და შედარებით ნაკლებად სასარგებლოა.

იდეალური ნორმატივები ეყრდნობა საქმიანობის საუკეთესო პირობებს. საქმიანობის საუკეთესო პირობები მოიცავს: უდანაკარგო და ნარჩების გარეშე საქმიანობას, როდესაც ადგილი არა აქვს მანქანა-დანადგარების მწყობიდან გამოსვლას, საქმიანობაში შეფერხებებისა და სამუშაო ძალის მოცდენას. საუკეთესო ხარისხის მისაღწევად იაპონური

კომპანიები იყენებენ იდეალურ სტანდარტებს, მაღალი სიზუსტის მოთხოვნის სფეროებში, სადაც ზუსტმა შემოწმებამ შეიძლება მნიშვნელოვანი დანახარჯები დაზოგოს, მაგრამ იდეალურმა ნორმატივებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქნიოს მოტივაციაზე, ვინაიდან მათი შესრულება ნაკლებად სარწმუნოა.

მიღწევადი ნორმატივები ყველაზე ხშირად გამოიყენება. ისინი ეყრდნობა ეფექტიანი საქმიანობის პირობებს (მაგრამ არა საუკეთესოს). მიღწევადი ნორმატივები ითვალისწინებს შემდეგ შესაძლებლობებს: მასალების ნორმატულ ან მოსალოდნელ დანაკარგებს, შეფერხებებს, მანქანა-დანადგარების მწყობიდან გამოსვლას. მიღწევადი ნორმატივები უნდა ეყრდნობოდეს საქმიანობის მაღალი დონის შედეგებს, მაგრამ ისე, რომ გარკვეულწილად დაძაბული მუშაობის შედეგად მათი შესრულება შესაძლებელი იყოს (იდეალური ნორმატივებისაგან განსხვავებით).

მიმდინარე ნორმატივები ეყრდნობა ეფექტიანობის არსებულ დონეს (მანქანა-დანადგარების მწყობიდან გამოსვლის, ნარჩენების, დანაკარგებისა და ა.შ. გათვალისწინებით). მიმდინარე ნორმატივების გამოყენების ძირითადი ნაკლოვანება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არანაირ სტიმულს არ ქმნიან საქმიანობის შედეგების მიმდინარე დონის გასაუმჯობესებლად.

ნორმატული დანახარჯების ცხრილი

ნორმატულ დანახარჯებთა სისტემაში ყოველ წესითობისათვის დგება ნორმატული დანახარჯების ცხრილი. ეს ცხრილი კულინარული რეცეპტის ანალოგიურია, იმ თვალსაზრისით, რომ ის შეიცავს მოცემული პროდუქციის “ინგრედიენტების” ჩამონათვალს და აღწერს “ინგრედიენტების” მზა პროდუქციად გარდაქმნის (გადამუშავებისათვის) აუცილებელ სვლებს (ნაბიჯებს).

უძველესი 1

ნორმატული დანახარჯების ცხრილი მასალის ჩამონათვალი

მასალის სახე	ნორმატული რაოდენობა, კვ.მ	ფასი ნორმატივის მიხედვით, ლარი	საერთო დანახარჯი, ლარი
მასალა X	120	0.05	6.00
დეტალი Y	6	2.50	15.00
დეტალი Z	1	24.5	24.50
მასალის ჯამი:			45.50
გარდაქმნის ოპერაციები,	ნორმატული	ნორმატული ფასი,	საერთო დანახარჯი,

აღწერა	დრო, სთ	ლარი	ლარი
მიეცეს X მასალას ფორმა	0.60	12.50	7.50
დაემატოს დეტალი Y	0.20	12.50	2.50
შეერთდეს Z-თან	0.05	9.00	0.45
შემოწმდეს და შეიფუთოს	0.15	9.00	1.35
შრომის დანახარჯების ჯამი:			11.80
ერთ პირდაპირ სამუშაო ნორმატულ საათზე საერთო სამეურნეო ნორმატული დანახარჯი			17.70
ჯამი: ერთეული პროდუქციის ნორმატული დანახარჯი			75.00

აღნიშნულ ცხრილში მონაცემები გამოითვლება შემდეგნაირად:

ნაკეთობის წარმოებისათვის შრომის პირდაპირ დანახარჯებთან დაკავშირებით ნორმატული დანახარჯების განსაზღვრისათვის მიეთითება ერთეული მზა პროდუქციის გამოშვებისათვის აუცილებელი სხვადასხვა შრომითი ოპერაციები და ყოველი ასეთი ოპერაციისათვის გამოითვლება ნორმატული დრო. შემდეგ დროის ნორმატული მაჩვენებელი მრავლდება ნორმატულ ფასებზე. ყველა ასეთი ოპერაციისათვის ფულადი (თანხობრივი) მაჩვენებლის საერთო ჯამი შეადგენს მოცემული ნაკეთობის წარმოებისათვის ნორმატულ პირდაპირ შრომის დანახარჯებს.

ნორმატული ხარჯების ცხრილში საერთო სამეურნეო ხარჯები ჩაირთვება ამა თუ იმ გასაზომი ნორმატული ბაზის საფუძველზე. ასეთად ითვლება ნორმატული სამუშაო საათები ან პირდაპირი შრომის დანახარჯებისათვის გადახდილი ნორმატული თანხები ლარებში.

აღნიშნულ მაგალითში ერთ ნორმატულ საათზე საერთო სამეურნეო ნორმატული დანახარჯი - 17.70 ლარი – გამოითვლება შემდეგნაირად:

ნორმატული მუდმივი ზედნადები ხარჯი თვეში შეადგენს 10.000 ლარს.

ნორმატული სამუშაო საათები თვეში შეადგენს 1.000 საათს.

ნორმატული ცვლადი ზედნადები ხარჯები შეადგენს საათში – 7.70 ლარს.

ზედნადები ხარჯების საერთო თვიური თანხა, ნორმატული მოცულობის ფარგლებში შეადგენს:

$$10.000 \text{ ლარი} + (7.70 \text{ ლარი} * 1.000\text{საათზე}) = 17.700 \text{ ლარს.}$$

ამ მაჩვენებელს თუ გავყოფთ ნორმატულ თვიურ სამუშაო საათებზე, მივიღებთ ნორმატულ საერთო ზედნადებ ხარჯებს 1 ნორმატული საათზე გაანგარიშებით:

$$17.700 / 1.000 = 17.70 \text{ ლარს.}$$

მოცემული პროდუქტის ნორმატული დანახარჯების ჯამი – პირდაპირი მატერიალური დანახარჯები (45.5 ლარი), პირდაპირი შრომის დანახარჯები (11.80 ლარი) და საერთოსამეურნეო ხარჯები (17.70 ლარი) – იძლევა ერთეულ საბოლოო პროდუქტზე

ნორმატული დანახარჯის მაჩვენებელს (75.5 ლარს). ის გამოიყენება როგორც მზა პროდუქციის მარაგის ბუღალტრული გატარებისა და გაყიდვის თვითღირებულების ბაზა (რაზეც მსჯელობა იქნება ქვემოთ).

ნორმატული დანახარჯების ელემენტები ასევე გამოიყენება ფინანსური დაგეგმვის პროცესში მაგალითად თუ ცნობილია, რომ ნოემბერში უნდა გამოუშვან 1000 ერთეული X ნაკეთობა და თითოეულზე ნორმატული მატერიალური დანახარჯი შეადგენს 45.5 ლარს, მაშინ ამ თვეში მატერიალური დანახარჯის ხარჯთაღრიცხვა იქნება 45.500 ლარი. ნაკეთობათა წარმოების ნორმატული დანახარჯები კომპანიების მიერ გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების დროს რეალური ფასების დასადგენად. განვიხილოთ ნორმატულ დანახარჯთა აღრიცხვის სისტემის ბუღალტრულ ანგარიშებზე ასახვის თავისებურებები.

8 . 2 . 1 . ანგარიშების დინამიური სქემა

სქემა №1-ზე წარმოდგენილია წინა თავში ასახული ფუნქცების კომპანიის ანგარიშების სქემა, რომელიც გადამუშავებულია ნორმატულ დანახარჯთა სისტემის ბაზის გამოყენებისათვის. მთლიანობაში ის არ განსხვავდება ფაქტიური დანახარჯების სისტემისაგან (6.2 სქემა) გარდა იმისა რომ მაში ფიგურირებს "გადახრის" ოთხი ანგარიში. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ ნორმატივი დადგენილია არა მხოლოდ ზედნადები ხარჯებისათვის, არამედ სრული თვითღირებულების ოთხივე შეძლებისათვის: მასალების ფასებისათვის, მასალების რაოდენობისათვის, შრომითი დანახარჯებისათვის და საერთო სამურნეო ხარჯებისათვის. პერიოდის ნორმატული დანახარჯები განსხვავდება ამავე პერიოდის ფაქტიურად გაწეული დანახარჯებისაგან და სწორედ "გადახრის" ანგარიშები ემსახურებიან ამ განსხვავებების ასახვას.

წარმოვიდგინოთ რომ პირდაპირი ნორმატული შრომის დანახარჯი ყველა ოპერაციის მიხედვით მთელი თვის განმავლობაში შეადგენს 17.000 ლარს, მაშინ ანგარიში "დაუმთავრებელი წარმოება" დებუტდება 17.000 ლარით. თუ ფაქტიურმა შრომის დანახარჯებმა თვეში შეადგინა 20.000 ლარი, მაშინ 20.000 ლარი დაკრედიტდება ანგარიშზე "ვალდებულება შრომის ანაზღაურებაზე". სხვაობა 3.000 ლარი, ფაქტიურ და ნორმატულ სიღიდეებს შორის მიეკუთვნება "გადახრა შრომის დანახარჯებში" ანგარიშის დებუტს.

ნორმატული დანახარჯები – ეს არის გეგმიური დონე, ე.ი. როგორი უნდა იყოს დანახარჯი. ბუნებრივია თუ ფაქტიური დანახარჯი მეტია ნორმატულზე, მაშინ ასეთი გადახრა ითვლება არახელსაყრელ გადახრად და აისახება გადახრის ანგარიშის საღებეტო ნაწილში, ხოლო თუ ფაქტიური დანახარჯები ნაკლებია ნორმატულზე, მაშინ ითვლება ხელსაყრელ გადახრად და აისახება გადახრების ანგარიშის კრედიტში.

№1 სქემაზე გატარებები ეხება იმავე ოპერაციებს და დანომრილია იმავე რიგითობით, როგორც გატარებები 6.2 სურათზე.

გატარება 1.

მასალების შესყიდვა. საკრედიტო გადახრა მასალის ფასებში 2.000 ლარი წარმოიშობა იქნება, რომ მასალების შეძენის ფაქტიურმა დანახარჯმა შეადგინა 52.000 ლარი:

$$\begin{array}{ll} \text{დებუტი - "შესყიდვა"} & 52.000 \\ \text{კრედიტი - "მომწოდებელი"} & 52.000 \end{array}$$

მოცემული რაოდენობის მასალის შეძენის ნორმატული დანახარჯი კი 54.000 ლარი იყო:

$$\begin{array}{ll} \text{დებუტი - "მასალების მარავი"} & 54.000 \\ \text{კრედიტი - "შესყიდვები"} & 54.000 \end{array}$$

ფაქტიური დანახარჯების სიდიდე არის ფაქტიურად შეძენილი მასალის რაოდენობის ფაქტიურ ფასებზე ნამრავლი, ამასთან ანგარიში "მასალის მარავი" დებუტდება შეძენილი მასალის ფაქტიური რაოდენობის ერთეული მასალის ნორმატიულ ფასზე გამრავლებით მიღებულ სიდიდით (54.000 ლარი), ხოლო 20.000 ლარი გადახრა აისახება შემდეგი გატარებით:

$$\begin{array}{ll} \text{დებუტი - "შესყიდვები"} & 2.000 \\ \text{კრედიტი - "მასალების ფასების გადახრა"} & 2.000 \end{array}$$

აუცილებლად უნდა აღნიშნოს, რომ გადახრა წარმოიშობა მხოლოდ იმიტომ, რომ ერთეული მასალების ნორმატული და ფაქტიური ფასები განსხვავებულია. ამრიგად, მასალების ფასების გადახრა იანგარიშება შემდეგნაირად:

მასალის ფასების გადახრა = (ფაქტიური რაოდენობა X ნორმატულ ფასზე) – (ფაქტიური რაოდენობა X ფაქტიურ ფასზე) = (ნორმატიული ფასი – ფაქტიური ფასი) X ფაქტიური რაოდენობაზე = \triangle ფასი X ფაქტიური რაოდენობაზე

სადაც \triangle ფასი არის ერთეული მასალის ნორმატიულ და ფაქტიურ ფასებს შორის სხვაობა.

გატარება 2.

მასალების გამოყენება. ნორმატული მასალის დანახარჯებმა ფუნჯების წარმოებაზე შეადგინა 49.000 ლარი. ე.ი. ნორმატული რაოდენობის (რაოდენობა, რომელიც უნდა დამზადდეს) ერთეულ გამოსაშვებ პროდუქციის ნორმატულ ფასზე ნამრავლი ტოლია 49.000 ლარის, მაგრამ ფუნჯების დასამზადებლად თვის განმავლობაში ფაქტიურად გამოყენებულმა მასალის ნორმატულმა დანახარჯებმა შეადგინა 48.000 ლარი (ფაქტიურად გამოშვებული რაოდენობა გამრავლებული ერთეული მასალის ნორმატულ ფასზე). საკრედიტო ხელსაყრელი სხვაობა 1.000 ლარი ამ ორ ჯამს შორის წარმოიშობა მხოლოდ იმიტომ რომ გამოშვებული მასალის ნორმატული და ფაქტიური რაოდენობა იყო სხვადასხვა, შესაბამისად სახეზეა მასალის ნორმატიული გამოყენების გადახრა. ამრიგად, მასალის გამოყენების გადახრა გამოითვლება შემდეგნაირად:

მასალის გამოყენების გადახრა = (ნორმატული რაოდენობა X ნორმატულ ფასზე) – (ფაქტიური რაოდენობა X ნორმატული ფასი) = (ნორმატიული რაოდენობა – ფაქტიური რაოდენობა) X ნორმატული ფასზე = \triangle რაოდენობა X ნორმატული ფასზე, სადაც რაოდენობა

სადაც \triangle რაოდენობა არის სხვაობა გამოშვებული მასალის ნორმატიულ და ფაქტიურ რაოდენობებს შორის.

ს ქ ი ბ ა

გატარება 3.

პირდაპირი შრომის დანახარჯი. ფაქტიური შრომის დანახარჯი გამოითვლება ფაქტიურად დახარჯული საათების ფაქტიურ გაფასებაზე ნამრავლით, მაშინ როცა ანგარიში “დაუმთავრებელი წარმოების მარავი” დებეტდება თანხით, რომელიც ტოლია დროის ნორმატული დანახარჯის (საათების რაოდენობა, რომელიც უნდა იქნას დახარჯული) შრომის ანაზღაურების ნორმატულ გაფასებაზე ნამრავლის. ამრიგად, შრომის დანახარჯების სადებეტო არახელსაყრელი გადახრა 3.000 ლარი, წარმოიშვა ნორმატულ და ფაქტიურ დროის დანახარჯებს (საათებს) შორის სხვაობის ან ნორმატულ და ფაქტიურ შრომის ანაზღაურების გაფასებებს შორის სხვაობის გამო. 3.000 ლარ გადახრაში გაერთიანებულია დროის და გაფასების გადახრები.

გატარება 6.

საერთო სამეურნეო ხარჯები. ირიბი საწარმოო ნორმატული დანახარჯები ნორმატული (წინასწარ განსაზღვრული) კოეფიციენტის საშუალებით არის მიკუთვნებული მზა პროდუქციის წარმოებას, რომელიც შეადგენს 26.000 ლარს. ე.ი. მზა ნაკეთობაში გადატანილი იქნა 26.000 ლარის საერთო სამეურნეო დანახარჯები. ფაქტიურმა საერთო სამეურნეო ხარჯებმა შეადგინა 27.000 ლარი. შესაბამისად წარმოიშვა სადებეტო არახელსაყრელი გადახრა 1.000 ლარი. (ეს გადახრა შეიძლება გაიყოს ორ შემადგენელ, ორ სხვადასხვა წარმომშობ მიზეზად მოცულობის და მიკუთვნის ნორმით).

გატარება 7. და 8.

მზა პროდუქცია. ერთეულ მზა პროდუქციაზე ნორმატული დანახარჯების კალკულაცია აღწერილი იყო ზემოთ. მას შემდეგ რაც პროდუქციის დამუშავება დამთავრდება, მზა ნაკეთობის ფაქტიური რაოდენობა, რომელიც უნდა იქნას გადაყვანილი დაუმთავრებელი წარმოების მარაგიდან მზა პროდუქციის მარაგში, შესაბამისი საკრედიტო და სადებეტო გასატარებელი თანხების გაანგარიშებისათვის მრავლდება ერთეული მზა პროდუქციის ნორმატულ დანახარჯზე.

საერთო სამეურნეო ხარჯების გამანაწილებელი ანგარიში. როგორც წინა თავში აღინიშნა, ეს ანგარიში იწოდება გამანაწილებლად იმიტომ რომ, მასზე აისახება ის ხარჯები, რომელიც უნდა “განაწილდეს” ანუ უნდა იქნას გადატანილი ყოველი თვის ბოლოს სხვა ანგარიშებზე. თვის განმავლობაში, როცა წარმოიშობა საერთო სამეურნეო ხარჯები, კრედიტდება აქტივების ან ვალდებულებების შესაბამისი ანგარიშები და დებეტდება ანგარიში “საერთო სამეურნეო ხარჯები”.

ანგარიშის “საერთო სამეურნეო ხარჯების” მარჯვენა მხარე გვიჩვენებს მოცულობას, რომელიც თვის განმავლობაში შესაბამისი ნორმატივის მიზედვით გადაიტანება მზა პროდუქციაში.

იშვიათი გამონაკლისის გარდა, ფაქტიურად გაწეული საერთო სამეურნეო ხარჯების (სადებეტო მხარე) სიდიდე ძირითადად არ ემთხვევა შესაბამისი ნორმატივებით მზა პროდუქციაში გადატანილ სიდიდეს (საკრედიტო მხარე). ამ ანგარიშზე დარჩენილი ნაშთი ყოველთვიურად გადაიტანება ანგარიშზე “საერთო სამეურნეო ხარჯების გადახრა”. მოყვანილ მაგალითში სადებეტო არახელსაყრელი გადახრა 1.000 ლარი, წარმოიშვა იმის

გამო, რომ ფაქტიურმა საერთო სამეურნეო ხარჯებმა შეადგინა 27.000 ლარი, ამავე დროს ნორმატივების შესაბამისად დაუმთავრებელი წარმოების მარაგში გადატანილი იყო მხოლოდ 26.000 ლარი, ამრიგად სადებეტო გატარება ანგარიშზე “საერთო სამეურნეო ხარჯების გადახრა” მიუთითებს, რომ მისი ფაქტიური სიდიდე პერიოდის განმავლობაში იყო გადაუნაწილებელი (შთანთქმის დანაკლისი), ამ დროს საკრედიტო გატარება ანგარიშზე “საერთო სამეურნეო ხარჯების გადახრა” მიუთითებს რომ, ფაქტიური სიდიდე იყო გადატანილზე ნაკლები (შთანთქმის სიჭარბე).

გადახრის განაწილების აღრიცხვა ნორმატულ დანახარჯთა სისტემაში საწარმოო დანახარჯების გადახრა წარმოადგენს სიდიდეს, რომელიც მიღებულია თვის განმავლობაში პროდუქციაზე ფაქტიური დანახარჯების ნაცვლად ნორმატული დანახარჯების მიკუთვნებით. იმისათვის რომ მოვახდინოთ ამ დანახარჯების კორექტირება და გადავიტანოთ ისინი ფაქტიურ დანახარჯებში, პირველ რიგში განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში პროდუქციის გამოშვების მთელი მოცულობა უნდა განვალაგოთ ჯაჭვად:

“დაუმთავრებელი წარმოება – მზა პროდუქცია საწყობში – რეალიზებული პროდუქცია მოცემული პერიოდის განმავლობაში”.

ამის შემდეგ საწარმოო გადახრები ამ ანგარიშებს შორის უნდა განაწილდეს პროპორციულად. მოცემული პროცედურა სრულად უკავშირდება ფინანსური აღრიცხვის “შესაბამისობის” (დაკავშირების) პრინციპს, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ნაწარმზე დანახარჯები აისახოს იმ პერიოდის მოგება ზარალის ანგარიშზე, რომლის განმავლობაში მოხდა ამ ნაწარმის რეალიზაცია და არა იმ პერიოდის, რომლის განმავლობაშიც მოხდა მისი დამზადება - წარმოება. თუმცა, პრაქტიკულად საწარმოო დანახარჯების გადახრების ასეთი განაწილება საკმაოდ რთულია, რადგან პროდუქციის წარმოების გზის გავლა არ არის იოლი ამოცანა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ადმინისტრაცია დაინტერესებულია გადახრების შესახებ ანგარიშის მაქსიმალურად მოკლე დროში მიღებით, რათა მინიმუმადე შეამციროს დრო გადახრების წარმოშობასა და გადახრების ანალიზს შორის, შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად. შესაბამისად მმართველობით ანგარიშში გადახრა ჩვეულებრივად განიხილება როგორც შესაბამისი პერიოდის ხარჯები (ე.ი. როგორც იმ თვის ხარჯები, რომელშიც იქნა გაწეული). ეს მიიღწევა ყოველ თვეში გადახრის ანგარიშის დახურვით და მისი ნაშთების გადატანით ან “გაყიდვის თვითღირებულების” ანგარიშზე ან უშუალოდ პერიოდის ხარჯებში.

8 . 3 . ნორმატულ დანახარჯთა სისტემის გამოყენების სხვადასხვა გარიანტები

№1 სქემაზე მოყვანილ მაგალითზე, ნორმატული დანახარჯები შემოდის იმ ეტაპზე, როცა მასალები აისახება ანგარიშზე “მასალის მარაგი” და მაშინ როცა ანგარიში “დაუმთავრებელი წარმოების მარაგი” დებეტდება მატერიალური და შრომითი დანახარჯების, აგრეთვე საერთო სამეურნეო ხარჯების სიდიდეებით. ეს არის ჩვეულებრივი პრაქტიკა, მაგრამ პრინციპში ნორმატული დანახარჯები შეიძლება გაჩნდეს სხვა ეტაპზე, მაგალითად საწარმოო პროცესში მასალების გადაცემის ეტაპზე. ასეთი მიდგომისას არ გამოიყენება ანგარიში ‘მასალის ფასების გადახრა’, არამედ ანგარიში “მასალების გადახრა” ერთდროულად ასახავს როგორც ფასის, ასევე რაოდენობრივ გადახრას.

8 . 4 . დანახარჯების უფრო რაციონალური შეფასება

ნორმატულ დანახარჯთა სისტემით აღრიცხვის წარმოებისას გამორიცხავს (ასწორებს) არახელსაყრელ სხვაობებს. მასში ფიზიკურად ერთნაირი პროდუქტის ერთეულები აისახება ერთი და იმავე ღირებულებით, მაშინ როცა ფაქტიური დანახარჯების სისტემაში ფიზიკურად ერთნაირი ერთეულები შეიძლება აისახოს სხვადასხვა ღირებულებით. რეალური მოქმედების თვალსაზრისით არ არის საკმარისად დამაჯერებელი საფუძველი ის რომ ერთი წყვილი ჯინსი აისახოს ერთი ღირებულებით, ხოლო მეორე ზუსტად ასეთივე წყვილი ჯინსი სხვაგვარად. ნორმატულ დანახარჯთა სისტემაში ერთი ტიპის ყველა ჯინსი აისახება მარაგში ან მიეკუთვნება გაყიდვის თვითღირებულებას ერთეულზე ერთნაირი ღირებულებით.

8 . 5 . აღრიცხვის დანახარჯების ეკონომიკა.

იმის გათვალისწინებით, რომ ნორმატული დანახარჯთა აღრიცხვა არ არსებობს ფაქტიური დანახარჯების აღრიცხვის გარეშე, შეიძლება ჩანდეს, რომ ნორმატულ დანახარჯთა სისტემა ფაქტიურ დანახარჯთა სისტემასთან შედარებით აღრიცხვის მოსაწესრიგებლად საჭიროებს ბევრ დანახარჯებს. სინამდვილეში ნორმატული დანახარჯების გამოყენებამ შეიძლება შეამციროს აღრიცხვისათვის აუცილებელი დანახარჯები, იმიტომ რომ ყველა ინდივიდუალური მონაცემები მასალების შესახებ თვეში შეიძლება შეჯამდეს და შეტანილი იქნეს ერთი გატარებით საკრედიტო ანგარიშზე “მასალის მარაგი”. ზუსტად ასევე არ არის აუცილებელი ყოველ მუშას ყოველი პროდუქტისათვის დახარჯული დრო დაუფიქსიროთ. აუცილებელია – მხოლოდ პირდაპირი შრომის დანახარჯების ნორმატივის წინასწარ განსაზღვრა.

ნორმატულ დანახარჯთა სისტემის გამოყენების დროს დამატებითი დანახარჯები მხოლოდ ინდივიდუალური ნორმატივების გამოთვლისას წარმოიშობა. ხშირად ეს დანახარჯები უმნიშვნელოა. რაოდენობრივი ნორმატივი განისაზღვრება პერიოდულად და იგი გამოიყენება თვეობით ან წლობით ყოველგვარი ცვლილების გარეშე. ნაწარმის კონსტრუქციაში ან წარმოების პროცესში ან მნიშვნელოვანი “ათვისების ეფექტში” მომხდარი ცვლილება გამოიწვევს თავისდავად ამ ნორმატივის ცვლილებას.

ნორმატული დანახარჯების ღირებულებითი შემადგენლობა, როგორც წესი, განახლდება ყოველ წლიურად ან უფრო ხშირადაც, რათა აისახოს მასალის ფასებზე ან სამუშაო ძალების ღირებულებაზე ინფლაციის ან სხვა ფაქტორების გავლენა. ფასების გადახედვა მოითხოვს გაცილებით ნაკლებ დანახარჯებს, ვიდრე რაოდენობრივი ნორმატივების რევიზია. საერთო სამეურნეო ხარჯების შემადგენლობა ნორმატულ დანახარჯებში ასევე ექვემდებარება გადახედვას, როგორც წესი ყოველ წლიურად, როცა ყოველი ცენტრის დანახარჯებისათვის დგინდება ხარჯების ახალი ნორმატივები. საერთო სამეურნეო ხარჯების ნორმატივის ასეთი რევიზია ხორციელდება უმეტეს კომპანიებში დამოუკიდებალად იმისა, იყენებენ ისინი ნორმატულ დანახარჯთა სისტემას თუ არა.